010910024900169316

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა
საქართველოს სახელით

საქმე №სსდ-03-24 01 ივლისი, 2024 წელი
ქ.თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა
შემადგენლობა:
თავმჯდომარე - გოჩა აბუსერიძე (მომხსენებელი)
მოსამართლეები - მირანდა ერემაძე
თეა ძიმისტარაშვილი

სხდომის მდივანი - მ--- ჯ--------

საჩივრის ავტორი - ადვოკატი ა–---------- კ------- /სიითი №6---/

პროცესუალური მოწინააღმდეგე - სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია
წარმომადგენელი - თ----- ხ----------

გასაჩივრებული გადაწყვეტილება - სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2023 წლის 20 დეკემბრის №059/23 გადაწყვეტილება

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი

1. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას 2023 წლის 27 ივნისს საჩივრით მიმართა ნ-------- პ---------მა, ადვოკატ ა–---------- კ------ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების მოთხოვნით.

1.1. ნ-------- პ---------ს განმარტებით, ის წლებია იცნობს ა–---------- კ-------ს და მის მეუღლეს - ნ----- კ---------ს. ამ უკანასკნელთან ერთად, ადვოკატ ა–---------- კ-

------სთან კონსულტაციის საფუძველზე, წამოიწყო ბიზნესი, თუმცა გახდა ნ----- კ-----–ის თაღლითური სქემის მსხვერპლი, რის გამოც მხარეებს შორის მიმდინარეობს სამოქალაქო დავა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში. საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი ა–---------- კ------ და მისი მეუღლე განქორწინებული არიან, თუმცა განქორწინება ფიქციურია და ემსახურება ნ----- კ-----–ის ინტერესების დაცვას; კერძოდ, იმ შემთხვევაში თუ სასამართლო დააკმაყოფილებს ნ-------- პ-----–ს სარჩელს, ნ----- კ-----–ის უძრავ-მოძრავი ქონება აღმოჩნდება ა–---------- კ------ის საკუთრებაში და შეუძლებელი გახდება სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება. საჩივრის ავტორმა დააზუსტა, რომ ა–---------- კ------ის მეუღლის ინტერესებს იცავენ მისი ბიუროს სხვა ადვოკატები: მ-------- შ–---------- და ბ--- ჯ-----–.

1.2. საჩივრის ავტორმა აღნიშნა, რომ ნ----- კ-----–ის წინააღმდეგ წარმოებულმა სასამართლო დავამ გამოიწვია ურთიერთობის გაუარესება ადვოკატ ა–---------- კ------სთან. შეხვედრისას ადვოკატი მუდმივად ცდილობს შეურაცხყოფა მიაყენოს მას საზოგადოების თავშეყრის ადგილებში. ნ-------– პ-----–ს განცხადებით, 2023 წლის 23 მაისს ის იმყოფებოდა თბილისის იუსტიციის სახლში, სადაც შემთხვევით შეხვდა ადვოკატი ა–---------- კ------- ნ----- კ-----–თან ერთად. საჩივრის ავტორის განმარტებით, მისი უარყოფის მიუხედავად, ადვოკატმა ვიდეო გადაუღო, რა დროსაც ხმამაღლა უყვიროდა და საჯაროდ აყენებდა შეურაცხყოფას. ადვოკატი აედევნა და შემდეგი ფრაზებით მიმართავდა მას: *„შენ გინდა ჩემი ქონება?“, „უნამუსო“, „გარყვნილო“, „უსინდისო“, „ახვარო“.* საჩივრის ავტორის განცხადებით, ვიდეოს გადაღებით ადვოკატი ცდილობდა მის დამცირებას, პატივისა და ღირსების შელახვას. აღნიშნული ვიდეო ადვოკატმა ა–---------- კ------მ გაავრცელა მის საკუთრებაში არსებული ტელევიზიის „ჯ----------ს“ მეშვეობით და საჯაროდ გააზიარა სოციალურ ქსელში ჯერ „შ----- ა--------ს“ ვებგვერდზე, ხოლო შემდეგ, მის კუთვნილ „ფეისბუქ“ გვერდზე, სადაც განგებ გაავრცელა არასწორი ინფორმაცია - საჩივრის ავტორს უწოდებს *„გათახსირებულს“, „თაღლითს“, „პატიმრების ფულებით გამდიდრებულს“* და ნ-------– პ-----–ს მიმართ იყენებს შემდეგ ფრაზას: *„ტილი ფეხზე რომ დაისვა, თავზე აგაცოცდებაო“.* მომჩივნის განმარტებით, ადვოკატის მიერ გაზიარებულ პოსტს უარყოფითი კომენტარები მოჰყვა და საზოგადოებას მის მიმართ შეექმნა უარყოფითი დამოკიდებულება. ამასთან, ნ-----–– პ-----–ს ოჯახმა გაიგო ადვოკატის ცრუ ბრალდებების შესახებ, რისგან გამოწვეულმა ემოციურმა ფონმა საჩივრის ავტორს შეუქმნა ჯანმრთელობის

სერიოზული პრობლემა და დასჭირდა სასწრაფო სამედიცინო სამსახურის გამოძახება.

2. ადვოკატმა ა–––––––––––– კ–––––––მ ეთიკის კომისიაში წარდგენილი ახსნა-განმარტებით მოითხოვა ნ–––––––––– პ–––––––––ს საჩივრის უარყოფა დაუსაბუთებლობისა და უსაფუძვლობის მოტივით.

2.1. ა–––––––––––– კ–––––––მ აღნიშნა, რომ მას ნ–––––––––– პ–––––––––თან არასდროს ჰქონია შემხებლობა, არ გაუწევია საადვოკატო მომსახურება, მათ შორის არც კონსულტაცია. შესაბამისად, ნ–––––––––– პ–––––––––ს მისთვის ჰონორარი არასდროს გადაუხდია. ადვოკატისათვის ასევე ბუნდოვანია თუ როგორ უკავშირდება მისი მეუღლის მიმართ წარმოებული სისხლის ან/და სამოქალაქო კატეგორიის საქმეები მას, თუმცა ადასტურებს, რომ ნ–––––––––– პ–––––––––– პრეტენზიას გამოთქვამდა მის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე.

2.2. ა–––––––––––– კ––––––ის განმარტებით, თბილისის იუსტიციის სახლში მომხდარ შემთხვევას მომჩივანი განზრახ არასწორად წარმოაჩენს; კერძოდ, ადვოკატი თბილისის იუსტიციის სახლში პირადი საქმის საწარმოებლად მივიდა, რა დროსაც შემთხვევით შეხვდნენ ერთმანეთს და გამომდინარე იქიდან, რომ ნ–––––––––– პ–––––––––– პრეტენზიას აცხადებდა მის კუთვნილ უძრავ ქონებაზე, ადვოკატმა ჰკითხა რა იყო აღნიშნული მოთხოვნის საფუძველი, რის გამოც პ–––––––––––მა ადვოკატს მიმართა აგრესიული ტონით. ა–––––––––––– კ–––––––მ თავდაცვის მიზნით გადაწყვიტა ჩაეწერა ვიდეო, რა დროსაც ნ–––––––––– პ–––––––––––მა შეურაცხყოფა მიაყენა მის მეუღლეს. ადვოკატის განმარტებით, ვინაიდან იმყოფებოდნენ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას, შეურაცხყოფა ვერ დატოვა უპასუხოდ, თუმცა მას ნ–––––––––– პ–––––––––––სათვის შეურაცხყოფა არ მიუყენებია. ადვოკატმა დაადასტურა, რომ მან საჩივრის ავტორს უწოდა სიტყვა „ახვარი“ და განმარტა, რომ აღნიშნული სიტყვა არ არის უხამსი და ნიშნავს უმადურ ადამიანს, ხოლო მის მიერ წარმოთქმული ფრაზის დანარჩენი ნაწილი - „შე უზრდელო ქალო, შე გარყვნილო ქალო“, არ არის უწმაწური ტერმინები და წარმოადგენს აზრის გამოხატვას. ადვოკატმა დააზუსტა, რომ ის არ არის ტელევიზია „ჯ––––––––––ს“ მესაკუთრე და სადავო ვიდეო მას არ აუტვირთავს, თუმცა დაადასტურა, რომ აღნიშნული ვიდეო გააზიარა „ფეისბუქის“ პირად გვერდზე. ადვოკატის განცხადებით, ნ–––––––––– პ–––––––––ს პირადი შუღლი აქვს მის და მისი ოჯახის მიმართ და ყველანაირი საფუძვლით ცდილობს მის დისკრედიტაციას. აღნიშნულ

მიზანს ემსახურება ეთიკის კომისიაში საჩივრის წარდგენაც.

3. 2023 წლის 3 აგვისტოს მესამე დისციპლინურმა კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ა-–---------- კ------ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 5.ა, 5.ბ, 5.გ მუხლებისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 9.4 მუხლის სავარაუდო დარღვევის საფუძვლით.

3.1. სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის თავმჯდომარის 2023 წლის 27 სექტემბრის მიწერილობით, საქმე „ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ“ დებულების მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, განსახილველად გადაეცა განხილვის კოლეგიის მეხუთე დისციპლინურ კოლეგიას.

4. განხილვის კოლეგიის მიერ დადგენილია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

4.1. ადვოკატ ა-–---------- კ------ის ყოფილ მეუღლეს - ნ----- კ---–---–სა და ნ-------–--- პ---–---–ს აქვთ სამოქალაქო დავა თბილისის საქალაქო სასამართლოში.

4.2. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილებით, გაუქმდა ქორწინების აქტი ადვოკატ ა-–---------- კ-------სა და მის მეუღლე ნ----- კ---–---–ს შორის და სასამართლომ ნ----- კ---–---–ის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ახალ მესაკუთრედ ცნო ადვოკატი ა-–---------- კ-------.

4.3. ადვოკატმა ა-–---------- კ-------მ 2023 წლის 25 მაისს სსიპ „იუსტიციის სახლის“ თბილისის იუსტიციის სახლში ნ-------–-- პ---–---–ს საჯაროდ მიმართა შემდეგი ფრაზებით: *„შე უზრდელო ქალო, შე გარყვნილო ქალო, წადი შე ახვარო შენ“.*

4.4. ადვოკატმა ა-–---------- კ-------მ სოციალურ ქსელ „Facebook“-ზე „შ----- ა-------“ და მის პირად გვერდზე გამოაქვეყნა ნ-------–-- პ---–---–სათვის გადაღებული ვიდეო, შემდეგი წარწერით: *„იცნობდეთ ციხის ყოფილ ვითომ ექიმს, რომელიც პატიმრების ფულებით მდიდრდებოდა...; ეს გათახსირებული ქალი ჩემმა ოჯახმა შეიფარა, დაბანა, ჩააცვა, ჩემ სახლში განაობდა, ვუფრთხილდებოდით როგორც ოჯახის წევრს. ამაზეა ნათქვამი: „ტილი ფეხზე დაისვი და თავზე აგაცოცდებაო“. არ გამოუვიდა და არავის გამოუვა ჩემი ოჯახის ღირსების შელახვა. გაგრძელება იქნება. ეს ვიდეო მათთვის, ვისაც ეს ქალი აბოლებდა...“.*

5. განხილვის კოლეგიამ საქმის მასალების გაცნობისა და მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის შედეგად დაადგინა, რომ ადვოკატ ა–––––––––– კ------ის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

5.1. ადვოკატის პროფესიული ქცევის შეფასებამდე, განხილვის კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატის პოზიციაზე, რომლის მიხედვითაც ის და ნ-------–-- პ-----–---– არ წარმოადგენენ პროცესუალურ მოწინააღმდეგეებს და მას არავითარი შემხებლობა არ აქვს საჩივრის ავტორთან. დისციპლინურ საქმეში წარმოდგენილი საქმის მასალებით ვერ დგინდება, რომ ა–––––––––– კ------- წარმოადგენდა ნ-------–-- პ-----–---–ს ადვოკატს, თუმცა ადვოკატმა განმარტა, რომ მის ყოფილ მეუღლესთან - ნ----- კ-----–---–თან ნ-------–-- პ-----–---– აწარმოებდა სამოქალაქო დავას და აღნიშნული დავიდან გამომდინარე, პრეტენზიას აცხადებდა ადვოკატ ა–––––––––– კ------ის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ საჩივრის ავტორის მიერ სასამართლოში სარჩელი წარდგენილი არ არის უშუალოდ ადვოკატ ა–––––––––– კ------ის მიმართ, დავა პირდაპირ უკავშირდება და შესაძლოა გავლენა მოახდინოს მის სამართლებრივ მდგომარეობაზე. ამავდროულად, ადვოკატი ვიდეოს გადაღებისას და სოციალურ ქსელში გავრცელებისას იყენებდა პროფესიულ სტატუსს და საზოგადოებისათვის ცნობადი იყო, როგორც ადვოკატი. განხილვის კოლეგიამ განმარტა, რომ ა–––––––––-- კ------- ნ-------–-- პ-----–---–თან ურთიერთობისას მოქმედებდა როგორც ადვოკატი, შესაბამისად, მის ქცევაზე სრულად ვრცელდებოდა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი ქცევის სტანდარტები.

6. განხილვის კოლეგიის შეფასებით, ადვოკატ ა–––––––––– კ------ის მიერ დარღვეულია პროცესის მონაწილის პატივისცემის ეთიკური ვალდებულება:

6.1. ადვოკატი ვალდებულია: კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები; ზუსტად და განუხრელად დაიცვას ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ნორმები; არ შელახოს სასამართლოს და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები (**„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 5.ა, 5.ბ, 5.გ**).

6.2. ადვოკატისა და სასამართლოს ურთიერთობის მარეგულირებელი წესები ასევე ვრცელდება ადვოკატის ურთიერთობაზე პროცესის მონაწილეებთან, აგრეთვე, არბიტრაჟთან და ნებისმიერ სხვა პირთან, რომელიც ახორციელებს მართლმსაჯულებას ან სასამართლოს მსგავს ფუნქციას (**ადვოკატთა პროფესიული**

ეთიკის კოდექსი, მუხლი 9.4).

7. განხილვის კოლეგია გაეცნო სსიპ „იუსტიციის სახლის“ თბილისის იუსტიციის სახლში ადვოკატ ა—---------- კ------ის მიერ გადაღებული ვიდეოს (ხანგრძლივობა: 1 წუთი და 49 წამი) შინაარსს, სადაც ადვოკატი ნ-------–-- პ-----–---ს, საჩივრის ავტორის წინააღმდეგობის მიუხედავად, მიჰყვება, უღებს ვიდეოს და მხარეთა შორის მიმდინარეობს შემდეგი შინაარსის დიალოგი:

ადვოკატი ა—---------- კ------- - *„..აი, რამდენი.. თანხა რამდენი ჩადე?“*
ნ-------- პ---------— - *„სასამართლოზე რომ მოგრძანდებით, აი იქ მოგახსენებთ...“*
ადვოკატი ა—---------- კ------- - *„აი ასეთი რაღაც, როგორც იტყუები, ხო, მატყუარა რომ ხარ, არ გაგივა არსად...“*
ნ-------- პ---------— - *„მატყუარაც ხარ და აფერისტიც, ადვოკატი ხარ და საზოგადოება შენ შეგყავს შეცდომაში.“*
ადვოკატი ა—---------- კ------- - *„საზოგადოება შენ შეგყავს შეცდომაში და მაგის გამოც პასუხს აგებ...“*
ნ-------- პ---------— - *„ცოლთან შენ გაყრილი თუ ხარ, ერთად რატომ დადიხართ? ჩაწერე...“*
ადვოკატი ა—---------- კ------- - *„შენს საყვარლებთან გაერკვიე... ჩემს ქონებას რომ ედავები...“*
ნ-------- პ---------— - *„ეგ შენი საქმე არ არის... თავხედო შენ“*
ადვოკატი ა—---------- კ------- - *„სად გარბიხარ, მოდი აქ შენ, მოდი, შე უზრდელო ქალო, მოდი აქ, ყველგან უნდა გამოგაჭენო... შე უზრდელო, თ---მ ფეხზე დაგაყენა, ფული გაძლიეთ და კიდე ასე იქცევი, ასე თავხედურად და შენ გინდა ჩემი ქონება, რომ რამე გაეკარო? ასეა შენი ცხოვრება? ფული გაძლიეთ, შე უზრდელო ქალო...“*
ნ-------- პ---------— - *„რით დამაყენა? გაწიე იქით ტელეფონი, შენ ვინმე არ შეგეშალოს... ადვოკატი ხარ და ატყუებ ხალხს...“*
ადვოკატი ა—---------- კ------- - *„შე უზრდელო, შენ გინდა ჩემი ქონება, რომ დაისაკუთრო? რა უფლებით, ჰო გინდოდა ჩემი ქონების დასაკუთრება, კაპიკი დაგიხარჯია მაგ ქონებაზე, რომ ამდენს ტლიკინებ?“*
ნ-------- პ---------— - *„შენ რა შუაში ხარ? შენს ცოლთან მაქვს საქმე, წადი... წადი... სასამართლოზე მოდი, რატო არ მოდიხარ“*
ადვოკატი ა—---------- კ------- - *„შენ კარგად მომისმინე, სასამართლოზეც მოვალ და ყველგან მივალ, მაგრამ შენს უზრდელობას და უტიფრობას საზღვარი ჰქონდეს, ჰო გაიგე? შე უზრდელო ქალო, შე გარყვნილო ქალო, წადი, შე ახვარო, შენ“.*
ნ-------- პ---------— - *„ახვარი შენი ცოლია“.*

7.1. დისციპლინურ საქმეში წარმოდგენილი საქმის მასალებით კომისიამ დაადგინა, რომ ადვოკატმა „შ----- ა--------ს“ გვერდიდან სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ საჯაროდ გამოაქვეყნა აღნიშნული ვიდეო, რომელიც მიემართება ნ-----–---- პ---------ს და ამავდროულად აღიარა, რომ თბილისის იუსტიციის სახლში

საჩივრის ავტორის მიმართ გამოიყენა სიტყვა „ახვარი“.

8. დასახელებული პოსტის კომენტარებში სოციალური ქსელის მომხმარებლები შეურაცხყოფას აყენებენ ნ-------– პ-–––––ს. ***ი. ი.:*** *რას ეფერები, შე კაცო, ეს ნა*ოზარი, გაიგე ფეხებში“;* ***მ. მ.:*** *„ეს თავხედი, ტუტუცი დედაკაცი ვინ არის?“;* ***ქ. ჯ.*** *„ვინაა ეს თავხედი“?* ადვოკატი და მისი მეუღლე პასუხობენ პოსტის კომენტარებს. პოსტი და მითითებული კომენტარები ადვოკატ ა-––––––––––– კ-------ს სოციალური ქსელიდან არ წაუშლია/არ დაუფარავს.

8.1. პოსტის კომენტარებში ა-––––––––––– კ-------ს მიმართავდნენ, როგორც ადვოკატს და საზოგადოებისათვის აშკარა იყო მისი პროფესიული სტატუსი. პოსტის კომენტარები შემდეგი შინაარსისაა: ***ლ. ხ.:*** *„ამ თაღლითს უნდა ჩამოერთვას ადვოკატობის უფლება“,* ***ნ. თ.:*** *„სამწუხაროა, ასე რომ დაეცემი ადამიანი! ადვოკატი, რომ ხარ, სხვა მხრივ დაამტკიცე შენი სიმართლე! ყოველთვის კარგი წარმოდგენა მქონდა თქვენზე, ახლა რაღა ვთქვა...“;* ***ი. ჩ.:*** *„სასწრაფოს ექიმებს ხელფასი არ მისცა ამ ნაბი*ვარმა ადვოკატმა...“;* ***ლ. ჩ.:*** *„ადვოკატი ასე ქუჩა-ქუჩა უნდა არჩევდეს საქმეს?..“;* ***ს. ო.:*** *„კაცი, რომელიც თავის თავს წარმატებულ ადვოკატს უწოდებს და ქალის მიმართულებით ესეთ სიტყვებს ხმარობს, ადვოკატი კი არა, კაციც აღარ ჰქვია...“;* ***ზ. თ.:*** *„...ჯერ ქალბატონთან რა საუბარი გაქვს, მაგრამ ნაჩვევი ხარ, პატიმრობაში რომ ვიყავი მეუღლემ გადაგიხადა 1000 ლარი, პირველივე პროცესზე არ მოხვედი....“;* ***მ. მ.:*** *„ჩასაფრებული კამერით ხელში, სასაცილო, ვაი ადვოკატი.“;* ***თ. კ.:*** *„ცნობილი ადვოკატი ესე თავს რომ დაკარგავს და ფეისბუქ მხილებები დაჭირდება... იმის მაგივრად, რომ სასამართლოზე სახე გააძროს...“.* შესაბამისად, კომისიის შეფასებით, საზოგადოების ფართო წრისათვის შეცნობადი იყო ადვოკატის პროფესიული სტატუსი და სადავო პოსტის გამოქვეყნება საზოგადოების დიდმა ნაწილმა ადვოკატის პროფესიული საქმიანობის განხორციელებას დაუკავშირა.

9. კოლეგიამ არ გაიზიარა ადვოკატ ა-––––––––––– კ------ის განმარტება, რომლის მიხედვითაც სიტყვა „ახვარი“ არ არის უხამსი მნიშვნელობის და ნიშნავს „უმადურს“. კოლეგია მიუთითებს, რომ აღნიშნულ სიტყვას ქართულ ენაში იყენებენ სხვისთვის შეურაცხყოფის მიყენების, დამცირების მიზნით. საზოგადოებაში დამკვიდრებული შეხედულებების შესაბამისად, სადავო ფრაზა: „შე გარყვნილო ქალო, წადი, შე ახვარო, შენ“ გადმოცემულია არაეთიკური ტერმინებით და მიზნად ისახავს სხვისი ღირსების დაკნინებას. შესაბამისად, ადვოკატის მიერ საჩივრის ავტორის მიმართ გამოყენებული სადავო ფრაზა ვერ ისარგებლებს სამართლებრივი დაცვით.

10. განხილვის კოლეგიის შეფასებით, ადვოკატის მიერ გამოყენებული

ფრაზეოლოგია - *„ეს გათახსირებული ქალი ჩემმა ოჯახმა შეიფარა, დაბანა, ჩააცვა, ჩემ სახლში ბანაობდა, ვუფრთხილდებოდით როგორც ოჯახის წევრს. ამაზეა ნათქვამი: „ტილი ფეხზე დაისვი და თავზე აგაცოცდებაო“* - არის არაეთიკური და ემსახურება საჩივრის ავტორის დამცირებას, პიროვნულ დისკრედიტაციას, მისი რეპუტაციის შელახვასა და ფართო საზოგადოებაში მომჩივნის მიმართ უარყოფითი აზრის/შეხედულების დამკვიდრებას, რაც ვერ ისარგებლებს იმუნიტეტით.

11. განხილვის კოლეგია ყურადღებას ამახვილებს ფაქტზე, რომ ადვოკატ ა-–--------- კ-------ს ჰქონდა შესაძლებლობა წაეშალა პოსტები, რომელზეც სოციალური ქსელის მომხმარებლები შეურაცხმყოფელ კომენტარებს წერდნენ, თუმცა მას ეს არ გაუკეთებია, რაც ხაზს უსვამს ადვოკატის მიზანს - საჯაროდ დაემცირებინა ნ------–-- პ---–-------–. შესაბამისად, განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატის ქცევა და გამოყენებული ფრაზეოლოგია გაცდენილია გამოხატვის თავისუფლების ფარგლებს და არ სარგებლობს სამართლებრივი დაცვით.

12. საბოლოოდ, კოლეგიამ №059/23 დისციპლინურ საქმეზე დაადგინა ადვოკატ ა-–---------- კ------ის /სიითი №6---/ მხრიდან დისციპლინური გადაცდომის ჩადენა და ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობის სახედ განესაზღვრა გაფრთხილება.

13. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2023 წლის 20 დეკემბრის №059/23 გადაწყვეტილება, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში, კანონით დადგენილ ვადაში, გაასაჩივრა ადვოკატმა ა-–---------- კ-------მ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება მოითხოვა.

13.1. საჩივრის ავტორის განმარტებით, მას ნ-------–-- პ---–------–სთვის კონსულტაცია ან საადვოკატო მომსახურება არასოდეს გაუწევია, მათ შორის არ არსებობდა არანაირი ურთიერთობა; შესაბამისად მასთან შეხვედრის სურვილი და მიზანი არასოდეს ჰქონია. ისინი შემთხვევით შეხვდნენ სსიპ ,,იუსტიციის სახლის“ თბილისის იუსტიციის სახლში, რა დროსაც ნ-------–-- პ---–------–ს მხრიდან წამოვიდა პროვოკაციული სიტყვები. ადვოკატის განცხადებით, პ---–------–ს ვიდეო გადაუღო იმ მიზნით, რომ შესაძლებლობა ჰქონოდა დაედასტურებინა მისი პროვოკაციული სიტყვები ადვოკატის მისამართით, ნათლად წარმოეჩინა მისი პიროვნება, ვინაიდან მან საჯარო სივრცეში უსამართლოდ მიაყენა შეურაცხყოფა

ოჯახის წევრებისა და სხვა პირების თანდასწრებით, რომლებმაც იცოდნენ მისი სტატუსისა და საადვოკატო საქმიანობის შესახებ. საჩივრის ავტორის განმარტებით, ნ-------– პ-----–– ვიდეოს გადაღების წინააღმდეგი არ იყო.

13.2. ადვოკატი მიუთითებს, რომ გარდა ფორმა №100-სა, რომელიც შეიცავს მხოლოდ ზოგად ინფორმაციას ჯანმრთელობის შესახებ, საქმეში არ არის წარმოდგენილი რაიმე მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ მისი ქმედებების შედეგად ნ-------– პ-----–ს შეექმნა ჯანმრთელობის „სერიოზული“ პრობლემები.

13.3. საჩივრის ავტორის მოსაზრებით, ალოგიკური და შეუსაბამოა ეთიკის კომისიის დასკვნა იმასთან დაკავშირებით, რომ ნ-------– პ-----–თან მას კლიენტ-ადვოკატის დამოკიდებულება შეიძლება ჰქონოდა პირდაპირ ან/და ირიბად და პ-----–ს უმიზეზო აგრესია მისი მისამართით გამოწვეული იყო ადვოკატის ყოფილ მეუღლესთან - ნ----- კ-----–თან მიმდინარე სამოქალაქო დავით.

13.4. საჩივრის ავტორი მიუთითებს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლზე, რომლის თანახმადაც, ადვოკატი საადვოკატო საქმიანობას ახორციელებს ხელშეკრულების საფუძველზე და განმარტავს, რომ ნ-------– პ-----–თან არ ჰქონია არათუ აღნიშნული შინაარსის ურთიერთობა, არამედ კონსულტაციაც კი არ გაუწევია მისთვის და უსაფუძვლოდ მიიჩნევს მსჯელობას, რომ პ-----–თან ურთიერთობისას გააჩნდა ადვოკატის სტატუსი ან წარმოადგენდა ადვოკატთა კორპუსს.

13.5. საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ ეთიკის კომისია გადაწყვეტილების მიღებისას იყო მიკერძოებული და მიღებული გადაწყვეტილება არის უკანონო და უსამართლო.

14. 2024 წლის 1 ივლისს, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის სხდომაზე ადვოკატმა მხარი დაუჭირა წარმოდგენილ საჩივარს და ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2023 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილების გაუქმება მოითხოვა.

15. ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის წარმომადგენელმა მოითხოვა საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა დაუსაბუთებლობისა და უსაფუძვლობის მოტივით.

სამოტივაციო ნაწილი

16. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საქმის მასალების შესწავლის, საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმებისა და საქმის არსებითად განხილვის შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ ადვოკატ ა-–---------- კ------ის საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2023 წლის 20 დეკემბრის №059/23 გადაწყვეტილება შემდეგ გარემოებათა გამო:

17. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[59] მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, სადისციპლინო პალატა სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებას ამოწმებს საჩივრის ფარგლებში, როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი და დაკისრებული სახდელის სამართლიანობის თვალსაზრისით. შესაბამისად, სადისციპლინო პალატა საჩივრის ავტორს მის მიერ განხორციელებული შედავების გათვალისწინებით, სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის მიერ განსაზღვრული სამართლებრივი შედეგის რელევანტურობას განუმარტავს.

18. პალატა აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილია სადავო საკითხის გადასაწყვეტად არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები, რომელთა სისწორის შესახებ ადვოკატ ა-–---------- კ------ის საჩივარში შედავება განხორციელებული არ არის და ამასთან, არც რაიმე ისეთი სახის მტკიცებულებაა წარმოდგენილი, რაც სადისციპლინო პალატას მათ სისწორეში ეჭვის შეტანის საფუძველს შეუქმნიდა. შესაბამისად, სადისციპლინო პალატა დადასტურებულად მიიჩნევს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის მიერ დადგენილ, წინამდებარე გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს.

19. მოცემულ შემთხვევაში, გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიმართ, საჩივრის ავტორის პრეტენზიები ძირითადად წარმოდგენილია სამართლებრივი თვალსაზრისით. საჩივრის ავტორი არ ეთანხმება განხილვის კოლეგიის შეფასებას მასზე, რომ ნ-------- პ---------თან ურთიერთობისას მას გააჩნდა

ადვოკატის სტატუსი ან წარმოადგენდა ადვოკატთა კორპუსს, ვინაიდან არათუ ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა არ ჰქონია, არამედ კონსულტაციაც კი არ გაუწევია მისთვის; ამასთან, საჩივრის ავტორის მოსაზრებით, ვიდეოჩანაწერში დაფიქსირებული კომუნიკაციისას გამოყენებული ფრაზეოლოგია არ იყო შეურაცხმყოფელი და ექცეოდა გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში.

20. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში მთავარ სადავო საკითხს წარმოადგენს: უნდა გავრცელდეს თუ არა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი ქცევის სტანდარტები ადვოკატ ა–––––––––––– კ------ის მიერ განხორციელებულ ქმედებებზე, ისეთ შემთხვევაში, როდესაც მას ნ---------– პ----------–-სათვის არ გაუწევია საადვოკატო მომსახურება, ამასთან, ვიდეოჩანაწერში გამოყენებული ფრაზეოლოგია ატარებს თუ არა შეურაცხმყოფელი შინაარსის დატვირთვას და ექცევა თუ არა გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში.

21. სადისციპლინო პალატა მიუთითებს, რომ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მეორე პუნქტის მიხედვით, ადვოკატი არის თავისუფალი პროფესიის პირი, რომელიც ემორჩილება მხოლოდ კანონსა და პროფესიული ეთიკის ნორმებს და გაწევრიანებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში.

22. ამავე კანონის მე-3 მუხლის „დ“ და „ლ“ ქვეპუნქტების თანახმად, საადვოკატო საქმიანობის პრინციპებია ადვოკატის კეთილსინდისიერება, კარგი რეპუტაცია და იურიდიული პროფესიის პატივისცემა, ადვოკატის მიერ პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვა; მე-5 მუხლის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების შესაბამისად კი, ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები; ზუსტად და განუხრელად დაიცვას პროფესიული ეთიკის ნორმები; არ შელახოს სასამართლოს და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები.

23. მოცემულ შემთხვევაში, დისციპლინური კოლეგია გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას ძირითადად დაეყრდნო საქმეზე დართულ ვიდეოჩანაწერს (გადაღებულია თავად ა–––––––––––– კ------ის მიერ), რაც თვალნათლივ ასახავს 2023 წლის 23 მაისს სსიპ ,,იუსტიციის სახლის“ თბილისის იუსტიციის სახლში ნ---------– პ----------–სა და ა–––––––––––– კ-------ს შორის შემდგარ კომუნიკაციას, შესაბამისად, მას სათანადოობის, საკმარისობის, პრიორიტეტულობისა და საბოლოო ჯამში, გაზიარების თვალსაზრისით გააჩნია

არსებითი ხასიათის მტკიცებულებითი ძალა.

24. წარმოდგენილი ვიდეოჩანაწერის მიხედვით დასტურდება ნ-------– პ-----–---სა და ა-–---------- კ-------ს შორის არსებული უთანხმოება, გამომდინარე ნ-------– პ-----–---სა და ა-–---------- კ------ის მეუღლეს შორის მიმდინარე სამოქალაქო დავიდან, რასთან დაკავშირებით ა-–---------- კ------ის განაწყენება, მისივე განმარტებით, გამოიწვია მის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებებთან მიმართებაში ნ-------– პ-------–ს სამართლებრივმა პრეტენზიამ. ამავე ჩანაწერით დასტურდება, რომ ა-–---------- კ------- ნ-------– პ-----–---ს მიმართავს სიტყვებით: ,,უზრდელო“, ,,გარყვნილო“, ,,ახვარო“ და სხვ.

25. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ იურიდიულ პროფესიასთან დაკავშირებული სპეციფიკური პრინციპები ჩამოაყალიბა შემდეგნაირად: ,,სასამართლო კვლავ აღნიშნავს, რომ იურისტის, როგორც სასამართლოსა და კერძო პირებს შორის შუამავლის, სპეციფიკური სტატუსი, მათ მართლმსაჯულების განხორციელებაში ცენტრალურ პოზიციას ანიჭებს. მათი ამგვარი პოზიციით აიხსნება ადვოკატთა კორპუსის წევრების მიმართ არსებული შეზღუდვებიც. გარდა ამისა, სასამართლოები, როგორც მართლმსაჯულების განხორციელების გარანტები, რომელთა როლიც უმნიშვნელოვანესია კანონის უზენაესობაზე დაფუძნებული სახელმწიფოსთვის, უნდა სარგებლობდნენ საზოგადოების ნდობით. იურისტების განსაკუთრებულ როლის გათვალისწინებით, სამართლიანია მათ მიმართ არსებობდეს მოლოდინი, რომ ხელს შეუწყობენ მართლმსაჯულების სათანადო ადმინისტრირებასა და საზოგადოების ნდობის შენარჩუნებას (იხ. *საქმე სტეური ნიდერლანდების წინააღმდეგ (Steur v. the Netherlands), №39657/98, §36, ECHR 2003-XI, და საქმე ფუჩსი გერმანიის წინააღმდეგ (Fuchs v. Germany), (განჩინება), №29222/11 და 64345/11, §39, ECHR 2015, ასევე საქმე ,,შოპფერი შვეიცარიის წინააღმდეგ, §29-30).*

26. როგორც ზემოთ აღინიშნა, ნ-------– პ-----–---სა და ადვოკატ ა-–---------- კ------ის ყოფილ მეუღლეს - ნ----- კ-----–---ს შორის მიმდინარეობს სამოქალაქო დავა და აღნიშნული დავიდან გამომდინარე, ნ-------– პ-----–--- პრეტენზიას აცხადებს ადვოკატ ა-–---------- კ------ის სამართლებრივ დაინტერესებაში არსებულ უძრავ ქონებაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ საქმის მასალებით არ დადგინდა, რომ ადვოკატი ა-–---------- კ------- წარმოადგენდა ნ-------– პ-----–---ს ადვოკატს, ზემოაღნიშნული სამართლებრივი დავა პირდაპირ

უკავშირდება მას და შესაძლოა, გავლენა მოახდინოს ადვოკატის ქონებრივ მდგომარეობაზე, რასაც ადასტურებს ადვოკატის მიერ ვიდეოჩანაწერში არსებული განმარტებები მისი საკუთრებასთან დაკავშირებით (*ფრაზები: ,,შენ გინდა ჩემი ქონება და სხვ.).*

27. შესაბამისად, პალატას მიაჩნია, რომ ცალსახად იკვეთება ადვოკატის სამართლებრივი ინტერესი ნ------–-- პ---–------–ს მიერ ა-–---------- კ------ის ყოფილი მეუღლის მიმართ წარმოებულ სამოქალაქო დავასთან მიმართებით. აღნიშნულ დასკვნას ამყარებს ასევე ის ფაქტიც, რომ ზემოაღნიშნულ სამოქალაქო დავაში ა-–--- -------- კ------ის მეუღლის ინტერესებს იცავენ მისი ბიუროს სხვა ადვოკატები - მ-- ------ შ-–---------- და ბ--- ჯ---------. შესაბამისად, სადისციპლინო პალატა ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის მითითებას იმის შესახებ, რომ იგი ნ------–-- პ---–---- –თან მიმართებით არ მოქმედებდა პროფესიული ნიშნით მხოლოდ იმ არგუმენტით, რომ მის მიმართ არასოდეს გაუწევია საადვოკატო საქმიანობა და მათ შორის არ არსებობდა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულება. პალატა მართებულად მიიჩნევს ეთიკის კომისიის მითითებას, რომ ა-–---------- კ------ის ქცევაზე ნ------–-- პ---–---– თან მიმართებით, სრულად ვრცელდება პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი ქცევის სტანდარტები.

28. „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველია პირის საჩივარი, რომელსაც მიაჩნია, რომ ადვოკატის ქმედებით დაირღვა მისი უფლებები და ინტერესები, გარდა ანონიმური საჩივრისა. მართალია, ადვოკატი ა-–---------- კ------- ნ------–-- პ- ---–---–თან ურთიერთობაში არ წარმოადგენდა საპროცესო სტატუსის მქონე მხარეს ან მის წარმომადგენელს, მაგრამ პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვა ადვოკატს მართებს არა მხოლოდ კლიენტთან, სასამართლოში, წარმომადგენლობითი ფუნქციების განხორციელების ან საპროცესო სტატუსის არსებობის შემთხვევაში, არამედ ნებისმიერ პირთან საჯარო სივრცეში. მოცემულ შემთხვევაში ადვოკატის მხრიდან პროფესიული ეთიკის ნორმების უგულებელყოფა მოხდა სსიპ „იუსტიციის სახლის“ თბილისის იუსტიციის სახლში, რომელიც გამოირჩევა მუდმივი ხალხმრავლობით, შესაბამისად, დიდია ალბათობა იმისა, რომ ადვოკატი შეცნობადი იყოს პროფესიული სტატუსით როგორც კოლეგების, ასევე იურიდიული მომსახურების მიმღები სხვა მოქალაქეების მხრიდან. ის გარემოება,

რომ ა–––––––––––– კ––––––– არ წარმოადგენდა ნ––––––––– პ––––––––––ს ადვოკატს, ან მის პროცესუალურ მოწინააღმდეგე მხარეს, არ ათავისუფლებს მას საჯარო სივრცეში პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი ქცევის სტანდარტების დაცვისაგან, შესაბამისად, მართებულია ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება ნ––––––––– პ––––––––––ს საჩივრის საფუძველზე ადვოკატ ა–––––––––––– კ––––––ის მიმართ დისციპლინური საქმისწარმოების დაწყების თაობაზე ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის ნორმების დარღვევის საფუძვლით.

29. სადისციპლინო პალატა ასევე მართებულად მიიჩნევს ეთიკის კომისიის მსჯელობას იმის შესახებ, რომ ა–––––––––––– კ––––––– ვიდეოს გადაღებისას და სოციალურ ქსელში გავრცელებისას იყენებდა პროფესიულ სტატუსს და საზოგადოებისათვის შეცნობადი იყო როგორც ადვოკატი, მისი ქმედება აღქმულ იქნა არა როგორც ფიზიკური პირის, არამედ, როგორც ადვოკატის, რასაც ადასტურებს სოციალურ ქსელ ,,ფეისბუქში“ მის მიერ ნ––––––––– პ––––––––––ს შესახებ გამოქვეყნებულ პოსტზე (ვიდეოზე) არაერთი ადამიანის მიერ დატოვებული კომენტარების შინაარსი.

30. სადისციპლინო პალატის სხდომაზე ადვოკატმა ა–––––––––––– კ––––––––მ განმარტა, რომ ნ––––––––– პ––––––––––– თავად ესაუბრებოდა უხამსი ტერმინებით, მის ოჯახს მიაყენა შეურაცხყოფა და თავადაც იძულებული გახდა პასუხი გაეცა მისთვის, ხოლო ვიდეოს გადაღებისა და სოციალურ ქსელში განთავსების მიზეზად მიუთითა ის ფაქტი, რომ ვინაიდან ნ––––––––– პ––––––––––– მის შესახებ ხშირად ავრცელებდა სხვადასხვა შინაარსის ინფორმაციას, სურდა საზოგადოებისთვის ამ ფორმით მიეწოდებინა სწორი ინფორმაცია და წარმოეჩინა ნ––––––––– პ––––––––––ს სახე.

31. სადისციპლინო პალატა მიუთითებს, რომ დისციპლინური პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველი არ შეიძლება გახდეს ის გარემოება, რომ შეურაცხყოფა ორმხრივ ხასიათს ატარებდა და ადვოკატის განაწყენება მის მიმართ გამოთქმულმა პრეტენზიამ ან სხვა, მისი აზრით შეუსაბამო გამონათქვამებმა გამოიწვია. აღნიშნული ადვოკატს არ ათავისუფლებს დადგენილი ქცევის წესების დაცვისაგან, ვინაიდან მის მიმართ მოქმედებს „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ სპეციალური ნორმები. კოდექსი მიზნად ისახავს საზოგადოების წინაშე დაკისრებული პროფესიული და

ზნეობრივი პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, პროფესიული ეთიკის ნორმების შესაბამისი ქცევის წესების განსაზღვრას და ადვოკატის ვალდებულების დამკვიდრებას, შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, პატივი სცეს თავის საქმიანობას და იზრუნოს ადვოკატის პროფესიისადმი მაღალი ნდობის მოპოვებისთვის *(საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2015 წლის 6 მაისის გადაწყვეტილება, საქმე №დს-შ/5-15).*

32. ამასთანავე, სადისციპლინო პალატა მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლითაც დადგენილია, რომ პირს უფლება აქვს სასამართლოს მეშვეობით, კანონით დადგენილი წესით დაიცვას საკუთარი პატივი, ღირსება, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, პირადი ხელშეუხებლობა ან საქმიანი რეპუტაცია შელახვისაგან. ასევე დასაშვებია გარკვეული კრიტიკაც, რომელიც არ უნდა გასცდეს ზომიერების ფარგლებს, არ დაირღვეს ზღვარი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებასა და შეურაცხყოფას შორის.

33. როგორც ეთიკის კომისიაში საქმის განხილვისას, ასევე სადისციპლინო პალატის სხდომაზე ადვოკატმა დაადასტურა, რომ საჩივრის ავტორს უწოდა სიტყვა „ახვარი“ და განმარტა, რომ აღნიშნულ სიტყვას არ აქვს უწმაწური მნიშვნელობა და ნიშნავს უმადურ ადამიანს, ხოლო მის მიერ წარმოთქმული ფრაზის დანარჩენი ნაწილი: „შე უზრდელო ქალო, შე გარყვნილო ქალო“ არ არის უხამსი შინაარსის ტერმინები და წარმოადგენს აზრის გამოხატვას.

34. სადისციპლინო პალატა ვერ გაიზიარებს ადვოკატის აღნიშნულ განმარტებას და მიუთითებს, რომ ადვოკატ ა–––––––––––– კ–––––––ის მიერ ნ––––––––– პ––––––––––ს მისამართით გამოყენებული ფრაზები გადმოცემულია უხამსი, უხეში, არაეთიკური, შეურაცხმყოფელი ტერმინებით და გამოხატავს აშკარა უპატივცემულობას, რაც ვერ მოექცევა გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში. მსგავსი ტერმინებით გამოხატული აზრი თუ დამოკიდებულება მიუღებელი და შეუფერებელია არათუ ადვოკატის პროფესიისათვის, რომელზეც ვრცელდება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ნორმები, არამედ ნებისმიერი სხვა პროფესიის ადამიანისათვის.

35. „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების თანახმად, სახელმწიფო ცნობს და იცავს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას, როგორც წარუვალ და უზენაეს

ადამიანურ ფასეულობებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდულნი არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით. ყველას, ადმინისტრაციული ორგანოს გარდა, აქვს გამოხატვის თავისუფლება.

36. საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების თანახმად, აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლება დაცულია. დაუშვებელია ადამიანის დევნა აზრისა და მისი გამოხატვის გამო. ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია. ამავე მუხლის მე-5 პუნქტით, ამ უფლებების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველსაყოფად, სხვათა უფლებების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.

37. „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, კანონით შეიძლება დაწესდეს სიტყვისა და გამოხატვის შინაარსობრივი რეგულირება, თუ ეს ეხება უხამსობას. ამავე კანონის პირველი მუხლის თანახმად კი, უხამსობა ეს არის - განცხადება, რომელსაც არა აქვს პოლიტიკური, კულტურული, საგანმანათლებლო ან სამეცნიერო ღირებულება და რომელიც უხეშად ლახავს საზოგადოებაში საყოველთაოდ დამკვიდრებულ ეთიკურ ნორმებს.

38. აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთ საქმეში დაადგინა გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის „აუცილებლობის“ ძირითადი პრინციპები. ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ გამოხატვის თავისუფლება ვრცელდება არა მხოლოდ იმ „ინფორმაციისა“ და „იდეების“ მიმართ, რომლებიც კეთილგანწყობით მიიღება, არაშეურაცხმყოფელად არის მიჩნეული ან ინდიფერენტული დამოკიდებულების საგანია, არამედ იმათ მიმართაც, რომლებიც შეურაცხმყოფელი, გამაოგნებელი ან შემაშფოთებელია. ამიტომ გამოხატვის თავისუფლების ნებისმიერი შეზღუდვა უნდა განსაზღვრული იყოს მკაცრად და მისი გამოყენების საჭიროება სარწმუნოდ უნდა იყოს დადასტურებული. შეზღუდვის გამოყენება უნდა იყოს „აუცილებელი“ დემოკრატიულ საზოგადოებაში სხვა პირთა რეპუტაციის დასაცავად.

„აუცილებელი“ კი, სასამართლოს განმარტებით, ნიშნავს „მწვავე საზოგადოებრივ საჭიროებას“ *(Handyside v. the United Kingdom (7 December 1976, Series A no. 24), Stoll v. Switzerland ([GC] no. 69698/01, § 101, ECHR 2007-V); Animal Defenders International v. the United Kingdom [GC], no. 48876/08, § 100, ECHR 2013; Morice v. France [GC], no. 29369/10, § 124, 23 April 2015).* ამ სახის „აუცილებელი“ და „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროების“ კომპონენტი განსახილველ საქმეში არ იკვეთება.

39. ზოგადი წესის მიხედვით, თუ პირი არ ასახელებს ფაქტებს და მხოლოდ შეფასებებს იყენებს მსჯელობაში, ეს გულისხმობს, რომ მისი მსჯელობა მტკიცებას არ საჭიროებს, მაგრამ შეფასებითი განცხადებების შემთხვევაშიც, გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის პროპორციულობის შეფასება დამოკიდებულია იმაზე, თუ არსებობს საკმარისი ფაქტობრივი საფუძველი სადავო განცხადებისთვის, ვინაიდან შეფასებითი განცხადებაც შეიძლება გადაჭარბებული იყოს, თუ არ უდევს საფუძვლად არანაირი ფაქტი *(Veraart v. the Netherlands, 30 November 2006).* ეს წესი განსაკუთრებით ეხება ადვოკატს, მართლმსაჯულების განხორციელებაში მისი განსაკუთრებული დანიშნულებისა და პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვის ვალდებულებიდან გამომდინარე. ადვოკატს, როგორც ყველა დანარჩენს, აქვს გამოხატვის თავისუფლების უფლება, მაგრამ კრიტიკის ობიექტებს თმენის განსხვავებული ვალდებულება აქვთ *(Nikula v. Finland, 21 March 2002),* **ადვოკატს კი შედარებით მეტად ევალება, იყოს კორექტული, კეთილსინდისიერი და ღირსეული *(Steur v. the Netherlands, 28 October 2003).*** სასამართლომ აღნიშნა, რომ ადვოკატები, როგორც საზოგადოებასა და სასამართლოს შორის შუამავლები, განსაკუთრებით მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებენ მართლმსაჯულების განხორციელებაში. ამით აიხსნება ადვოკატის ქცევაზე დაწესებული განსაკუთრებული შეზღუდვები. მათ მიმართ ლეგიტიმური მოლოდინი არსებობს, რომ ხელი უნდა შეუწყონ მართლმსაჯულების ჯეროვან განხორციელებას და, შესაბამისად, თავიანთი საქციელით ისინი ხელს უნდა უწყობდნენ საზოგადოების ნდობის განმტკიცებას სასამართლოს მიმართ *(Kyprianou v. Cyprus, 15 December 2005).*

40. აღსანიშნავია, რომ მნიშვნელობა ენიჭება შეურაცხმყოფელი გამოხატვის მიზანს. ევროპული სასამართლოს შეფასებით „დაცულია შეურაცხმყოფელი გამოხატვა, თუ მას საზოგადოებისათვის გარკვეული ღირებულებების მომტანი, საჯარო დისკუსიაში წვლილის შემტანი ან სხვა მსგავსი მიზანი გააჩნია. ხოლო რაც შეეხება იმგვარ გამოხატვას, რომლის ერთადერთ მიზანსაც პირის დამცირება,

მისი პატივისა და ღირსების შელახვა წარმოადგენს, იგი ვერ ისარგებლებს კონვენციის მე-10 მუხლით გარანტირებული გამოხატვის თავისუფლებით“ *(ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 30.01.2018წ. გადაწყვეტილება Sekmadienis Ltd. Vs. Lithuania).*

41. ადვოკატების შემთხვევაში, გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა შესაძლებელია იმ ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად, რომელიც ემსახურება ადვოკატის როლის განმტკიცებას, ადვოკატის პროფესიის დაცვასა და მის მიმართ საზოგადოების ნდობის გაღრმავებას. ,,ადვოკატთა შესახებ“ კანონი და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი ზღუდავს ადვოკატის გამოხატვის თავისუფლების ფარგლებს, ვინაიდან ადვოკატის მიერ წარმოთქმულ შეურაცხმყოფელ ფრაზას შეუძლია დააზიანოს არა მარტო კონკრეტული პირის უფლებები, არამედ მას ასევე შეუძლია ხელი შეუშალოს ადვოკატის პროფესიის როლის გაძლიერებას და მისი წარმომადგენლებისადმი საზოგადოებაში ნდობისა და პატივისცემის დამკვიდრებას. შესაბამისად, ადვოკატმა თავი უნდა შეიკავოს არაეთიკური გამონათქვამებისგან, რათა შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება და პატივი სცეს თავის პროფესიას (იხ. იურიდიული ეთიკა, თბილისი, 2021).

42. სადისციპლინო პალატა აღნიშნავს, რომ კონსტიტუციით მინიჭებული გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობისას ადვოკატი ვალდებულია ნებისმიერ ვითარებაში შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, გამოიჩინოს მოთმინება და პატივი სცეს თავის საქმიანობას. არ უნდა მოიქცეს იმგვარად, რაც შეუფერებელია ადვოკატის თავისუფალი პროფესიის სტატუსისთვის. ადვოკატი უნდა შეეცადოს, თავი აარიდოს იმგვარ ქმედებასა და გამონათქვამებს, რაც არ შეესატყვისება ადვოკატის მაღალ როლს საზოგადოებაში და ხელს შეუშლის ამ პროფესიისადმი საზოგადოებრივი ნდობის მოპოვებას. ადვოკატს, როგორც მართლმსაჯულებაში მონაწილე პირს, ქცევის მაღალი სტანდარტი მოეთხოვება, განსხვავებით სხვა პირებისაგან. გამოხატვის თავისუფლება ექვემდებარება შეზღუდვას, თუკი სახეზეა კონკრეტული პირის უფლებისა და კანონით დაცული ინტერესების ხელყოფა *(საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2016 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილება, საქმე №დს-შ/7-16).*

43. სადისციპლინო პალატის სხდომაზე საჩივრის განხილვისას ადვოკატმა ასევე განმარტა, რომ ნ-------- პ----------ს შესახებ ინფორმაცია ზემოაღნიშნულ ვიდეოსთან ერთად გაავრცელა მხოლოდ პირადი ,,ფეისბუქ“ გვერდის მეშვეობით,

არ განუთავსებია პროფესიული მიზნით შექმნილ ,,ფეისბუქ“ ანგარიშზე, რაც მისი მითითებით, ასევე გამორიცხავს მისი მოქმედების პროფესიული ნიშნით განხილვის მართებულობას.

44. სადისციპლინო პალატა ვერ გაიზიარებს აღნიშნულ მსჯელობას, ვინაიდან სადავო პოსტი განთავსებულია საჯაროდ, შესაბამისად, მისი შინაარსის გაცნობა და გავრცელება შეუძლია ნებისმიერ ადამიანს და არა პირთა განსაზღვრულ ჯგუფს. ამასთანავე, მითითებულ პოსტს გამოხმაურება მოჰყვა არაერთი ადამიანისგან, მათ შორის ა–––––––––– კ------ის ყოფილი კლიენტებისგან, რომლებიც ხაზს უსვამენ პოსტის ავტორის პროფესიულ სტატუსს და აფასებენ მას. მიუხედავად იმისა, რომ სადავო პოსტი განთავსებულია ა–––––––––– კ------ის პირად ,,ფეისბუქ“ გვერდზე, კომენტარების შინაარსიდან გამომდინარე, საჩივრის ავტორის პროფესიული სტატუსი შეცნობადი იყო საზოგადოების დიდი ნაწილისთვის.

45. ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო სასამართლომ განმარტა: გამოხატვის თავისუფლების კონტექსტში, „საჯაროდ გავრცელება“ არ გულისხმობს ინფორმაციის მხოლოდ პრესასა თუ ტელევიზიაში გახმაურებას, მით უმეტეს იმ პირობებში, როდესაც სოციალური მედია, ბლოგინგი და მიკრობლოგინგი სულ უფრო დიდ როლს ასრულებს თანამედროვე საზოგადოების ცხოვრებაში. ნებისმიერი საშუალება, რომელიც ინფორმაციის პირთა განუსაზღვრელი წრისადმი მიწოდებისათვის გამოდგება, საჯაროდ გავრცელების წყაროდ უნდა შეფასდეს. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს სოციალური ქსელის არსსა და დანიშნულებაზე. სოციალური ქსელი არის პლატფორმა, გამიზნული ონლაინ სოციალური კავშირის შესაქმნელად იმ ადამიანებისაგან, რომლებსაც აქვთ საერთო ინტერესები, საქმიანობის სფერო, ჰობი ან რეალური, ცხოვრებისეული კავშირი (ოჯახური, ნათესაური, სამსახურებრივი და ა.შ). თითოეული სოციალური ქსელი შედგება მომხმარებლის წარმომადგენლობისაგან (ე.წ პროფაილი), მისი კავშირებისა და დამატებითი სერვისებისაგან. ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი და პოპულარული სოციალური ქსელი არის „ფეისბუქი“, რომელიც მსოფლიო მასშტაბით მილიონობით მომხმარებელს აერთიანებს. „ფეისბუქზე“ კონკრეტული მომხმარებლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია ხელმისაწვდომი ხდება მასთან დამეგობრებული პირებისათვის ან ყველა მომხმარებლისათვის, ავტორის არჩევანის შესაბამისად. ინფორმაციასთან

დაშვებულ ნებისმიერ მომხმარებელს შეუძლია ამ ინფორმაციის გაზიარება თავისი კონტაქტებისათვის თუ პირთა განუსაზღვრელი წრისათვის, ასევე ციტირება პირად საუბარში, პრესასა თუ ინტერნეტგამოცემებში. სოციალური ქსელის სწორედ ამ თვისებების გათვალისწინებით, კონკრეტული მომხმარებლის მიერ ე.წ სტატუსის თუ კომენტარის გამოქვეყნება ინფორმაციის საჯაროდ გავრცელებად უნდა შეფასდეს *(იხ. სუსგ №ას-1559-1462-2012, 09.01.2014წ.).*

46. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სადისციპლინო პალატა მიიჩნევს, რომ ადვოკატ ა–---------- კ-------ს იურიდიული ინტერესი გააჩნია ნ-----–-- პ-----–---ს მიერ ნ----- კ-----–---ის მიმართ წარმოებულ სამოქალაქო დავაში, შესაბამისად, აღნიშნულ ურთიერთობაში იგი ვერ იქნება აღქმული ფიზიკური პირის სტატუსით. პალატა ასევე დადგენილად მიიჩნევს, რომ ადვოკატ ა–---------- კ------ის მიერ ნ-------–-- პ-----–---ს მისამართით საჯარო სივრცეში გამოყენებული ზემოაღნიშნული ფრაზები და სოციალურ ქსელ ,,ფეისბუქში“ გამოქვეყნებული პოსტი, თანდართულ ვიდეოსთან ერთად, რომელიც ხელმისაწვდომი გახდა არაერთი ადამიანისთვის, მათ შორის მისი კოლეგების, ყოფილი კლიენტებისა თუ სხვა ნაცნობებისთვის - პატივისა და ღირსების შემლახავია ნ-------–-- პ-----–---სათვის, არ ჯდება გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში და აღნიშნული ქმედებების განხორციელების პროცესში ადვოკატი საზოგადოების მხრიდან შეცნობილი იყო პროფესიული ნიშნით.

47. სადისციპლინო პალატა აღნიშნავს, რომ ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრება „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონითა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილ შემთხვევებში და დადგენილი წესით. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრება ამ კანონის მე-5-მე-9 მუხლებით გათვალისწინებულ მოვალეობათა შეუსრულებლობისათვის, ამავე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის დარღვევისათვის. ამავე კანონის 34-ე მუხლი ითვალისწინებს ადვოკატის მიმართ დისციპლინური სახდელის სახეებს, რომელთა შორის არის გაფრთხილება.

48. განსახილველ შემთხვევაში, წინამდებარე გადაწყვეტილებაში განვითარებული მსჯელობიდან გამომდინარე, სადისციპლინო პალატა იზიარებს

განხილვის კოლეგიის სამართლებრივ შეფასებას მასზე, რომ ადვოკატ ა–––––––––– კ------ის მიერ დარღვეულია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონისა (მე-5 მუხლის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტი) და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის (მე-9 მუხლის მე-4 ნაწილი) მოთხოვნები, რის გამოც ადვოკატის ქმედებას მართებულად მიეცა დისციპლინური გადაცდომის კვალიფიკაცია და მართებულად დაეკისრა სახდელის სახით გაფრთხილება; შესაბამისად, სადისციპლინო პალატა მიიჩნევს, რომ დისციპლინური საქმის მასალები გამოკვლეულია ობიექტურად და დავა გადაწყვეტილია არსებითად სწორად, რის გამოც არ არსებობს ადვოკატ ა–––––––––– კ------ის საჩივრის დაკმაყოფილებისა და სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[61] მუხლით, 75[62] მუხლით, 75[63] მუხლის „ა“ ქვეპუნქტით, 75[64] მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ადვოკატ ა–––––––––– კ------ის საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2023 წლის 20 დეკემბრის №059/23 გადაწყვეტილება;
3. გადაწყვეტილების ასლები გაეგზავნოთ მხარეებს;
4. გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თავმჯდომარე **გოჩა აბუსერიძე**

მოსამართლეები: **მირანდა ერემაძე**

თეა ძიმისტარაშვილი